

განახლებაში ენერგეტიკული და ენერგოეფექტურის სკალიზაცია



**FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG**

2012

შესავალი

ენერგეტიკა ის სფეროა, რომელიც გავლენას ახდენს როგორც სახელმწიფოების, ასევე თითოეული ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტზე. მისი ხვედრითი წილი მნიშვნელოვანია ყველა დონეზე – ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტიდან დაწყებული და ყოფითი პირობებით დამთავრებული.

კაცობრიობა თავისი განვითარების ყოველ ეტაპზე ცდილობდა ენერგიის მომარაგებისა და მოხმარების სრულყოფას. ენერგიის მოხმარების ზრდის გამო, მსოფლიო საზოგადოების წინაშე აქტიურად დადგა ალტერნატიული - განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების საკითხი, რადგანაც ისინი ბუნებაში მუდმივად არსებული, პერიოდულად შევსებადი და პრაქტიკულად ამოუწურავია.

დღეისათვის საქართველოში არსებული განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალი არ არის ბოლომდე შესწავლილი და მითუმეტეს გამოყენებული. თუმცა სწორი სახელმწიფო პოლიტიკის და გათვლების შემთხვევაში ეს სფერო ინვესტიციებს და დაინტერესებას აუცილებლად გამოიწვევს. დღეს, მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განახლებადი ენერგიის საკითხების შესწავლასა და მის მაქსიმალურ გამოყენებას. უფრო მეტიც, განვითარებული ქვეყნები სულ უფრო მეტ ინვესტიციებს დებენ დარგის წინსვლაში, რათა დანერგონ და ხელმისაწვდომი გახადონ ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენება.

საქართველოს ამ მხრივ, საკმაო პოტენციალი გააჩნია და შესაძლებელია ქვეყნის ენერგობადანსში განახლებადი ენერგიების წილი მაქსიმალურად იყოს ათვისებული და გამოყენებული.

ნახშირბადშემცველი (ნავთობი, გაზი, ქვანახშირი, მერქანი) ენერგიის წყაროების გამოყენება უდიდეს ზიანს აყენებს გარემოს – ბოლომდე არ არის დათვლილი და გაცნობიერებული ენერგომატარებლების მოპოვება-გადამუშავება-ტრანსპორტირება-მოხმარების ეტაპებზე გარემოზე მიყენებული ზიანი, განადგურებული ტყეები, კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული გლობალური ნეგატიური ფაქტორები და სხვა.


საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება შეადგინდა:

- 1989 წელს 16 მლრდ კვტსთ
- 2003 წელს - 7 მლრდ კვტსთ
- 2011 წელს კი - 10 მლრდ კვტსთ.

საშუალოდ საქართველოში გენერირებული ელექტროენერგიის:

- 26% მოდის იმპორტირებულ ბუნებრივ გაზზე (0,6 მლრდ კუბ.მ.)
- 65% ჰიდრორესურსებზე
- 9% იმპორტირებულია.

ელექტროენერგიის მოწოდების სტრუქტურა 2006 წ.



ამავე დროს, ყოველწლიურად შემოდის მიღიონობით ჭონა ბენზინი, დიზელის საწვავი და ნავთი.

ენერგიაზე მოთხოვნილების არსებული დონე მუდმივად იზრდება. თუმცა ჩვენი ქვეყანა, ერთ სულ მოსახლეზე ელექტრო ენერგიის მოხმარების დონით, ყოფილ საბჭოთა კავშირს ჩამორჩება 2,3-ჯერ, არაბეთის ნახევარ კუნძულს 2,8-ჯერ, დასავლეთ ევროპას 3,68-ჯერ, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას 5,7-ჯერ.

ენერგოპოტენციალის ზრდის მიზნით ქვეყანაში დღეისათვის არსებული სახელმწიფო პოლიტიკა გულისხმობს საქართველოს მდინარეებზე ათეულობით გიგანტური ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობას, თუმცა ეს არ არის გამოსავალი, რადგან შედეგად შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს ეკოლოგიური, სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული და ყველა სხვა შესაძლო რისკები.

დამატებითი ენერგიის მიღების დიდი პოტენციალი ქვეყანას გააჩნია მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგურების რეაბილიტაციით და მშენებლობით, ხოლო დანაკლისის შევსება შესაძლებელია მზის, ქარის და გეოთერმული ენერგიების ხარჯზე. ბუნებისგან ბოძებული ეს რესურსი მართლაც ამოუწურავი და სრულიად უვნებელია!

მზის ცნორგი

საქართველოს უმეტეს რაიონებში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 250-დან 280 დღემდე მერყეობს. ქვეყნის ტერიტორიაზე მზის წლიური ჯამური ენერგია რეგიონების მიხედვით 1 კვ.მ. ფართობზე მერყეობს 1250-1800 კვტ.სთ დიაპაზონში, ხოლო საშუალო ენერგია, იგივე 1 კვ.მ. ფართობზე უტოლდება 4,2 კვტ.სთ დღეში. ანუ, თერიტოლიად, ერთი საშუალო ოჯახისათვის საკმარის ენერგიას მზე აფრქვევს დედამიწის 1,5-2,0 კვ.მ. ფართობზე.

დედამიწა 500-ჯერ მეტ ენერგიას იღებს მზისგან, ვიდრე მთელი მსოფლიოს ენერგოსისტებში გამოიყენება.

მარტივი გათვლები ადასტურებს, რომ თუ აშენდება 140-150 კვ.კმ ფართობის ჰელიოსადგური (ქ. თბილისის ტერიტორია 350 კვ.კმ შეადგენს), მიღებული ელექტროენერგია მთლიანად დაკმაყოფილებს საქართველოს მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე.

ქარის ცნორგი

საქართველოს ტერიტორიაზე წამში 4,0 მ-ზე მეტი სიჩქარის ქარის ენერგიის ტექნიკური პოტენციალი წლიურად თითქმის 4,5 მლრდ კვტსთ-ს აჭარბებს.

ქარის ენერგიაზე მომზავე ელექტროსადგურების აშენებით, ელექტროენერგეტიკულ სისტემას შეიძლება დაემატოს ეკოლოგიურად სუფთა 1200 მვტ სიმძლავრე.

ქარის ენერგეტიკული ბუნებრივი პოტენციალის მიხედვით ქვეყნის ტერიტორია დარაიონებულია ოთხ ზონად: მაღალი სიჩქარეების ზონა, ნაწილობრივ მაღალსიჩქარიანი და დაბალსიჩქარიანი ზონა, დაბალსიჩქარიანი ქედების ეფექტიანი ექსპლუატაციის ზონა, დაბალსიჩქარიანი ქედების შეზღუდული გამოყენების ზონა.

საქართველოში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილია ქარის ეფექტური ელექტროსადგურების პერსპექტიული მშენებლობის რამოდენიმე მოედანი, მათ შორის:

	ადგილმდებარეობა	სიმძლავრე (მვტ)	წლიური გამომუშავება (მლნკუბსთ)
1	ფოთი	50	110
2	ჭოროხი	50	120
3	ქუთაისი	100	200
4	მთა-საბუეთი 1	150	450
5	მთა-საბუეთი 2	600	2000
6	გორი-კასპი	200	500
7	ფრანგანი	200	500
8	სამგორი	50	130
9	რუსთავი	50	150
	ჯამი	1450	4160

შესწავლილია,
რომ დღევანდელი
მოხმარებული ენერ-
გიის 60% შესაძლე-
ბელია გამომუშავე-
ბული იქნას ქარის
ხარჯზე.

გეოთერმული ენერგია

დედამიწის სიღრმული სითბო, რომელსაც ტრადიციულად „გეოთერმულს“ უწოდებენ, განახლებადი ენერგიის ერთ-ერთი უშრეტი წყაროა, რომელიც თერმული წყლების, ორთქლისა და მათი ნარევის სახით ამოდის მიწის ზედაპირზე და შედარებით ადვილი ხელმისაწვდომია ადამიანისათვის.

თერმული წყლების ენერგეტიკული მიზნებით გამოყენების ისტორია საქართველოში 1951 წლიდან იწყება. ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია $300\text{--}108^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის მქონე წყლის 250-მდე ბუნებრივი (წყარო) და ხელოვნური (ჭაბურღილი), ცალკეული და ჯგუფური გამოსავალი. მათი ჯამური დებიტი შეადგენს 160 ათასამდე მ³/დღე-ლამეში.

გეოთერმული საბადოების 80%-ზე მეტი განლაგებულია დასავლეთ საქართველოში.

დადგენილია, რომ ჩვენში თერმული წყლების პროგნოზული მარაგი შეადგენს 350-400 მილიონ მ³-ს წელიწადში. 1993 წლის იანვრის მდგომარეობით თერმული წყლების ჯამური საბალანსო მარაგი შეადგენდა 90 ათას მ³/დღეში, რაც თავისი სითბური პოტენციალით ექვივალენტურია 500 ათასი ტონა პირობითი სათბობის (ტპს), ან 500 მილიონ მ³ აირის წელიწადში.

საქართველოს გეოთერმული რესურსები თავმოყრილია 44-მდე საბადოში. წინასწარი შეფასებებით მათი საერთო სითბური ენერგია 420 მეგავატამდეა და გამომუშავებული თერმული ენერგია კი 2.7 მგვტ/სთ/წელი .

არსებული გეოთერმული რესურსების თანამედროვე ტექნოლოგიით ათვისების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად დავზოგოთ 2,5 მილიონი ტონა პირობითი საწვავი (ტპს), რასაც მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტი ექნება.


ინერგოეფექტურობა

ენერგიის გენერირების უსაფრთხო წყაროების გამოყენებისას აუცილებელია დიდი ყურადღება მიერცეს მიღებული ენერგიის რაციონალურ გამოყენებასა და ენერგოეფექტურობას.

ენერგოეფექტურობის აუცილებლობას განაპირობებს:

- ენერგომატარებლების (ნახშირწყალბადების) მარაგების შემცირება;
- ენერგომატარებლებზე, თბურ და ელექტრო-ენერგიებზე ფასების პერმანენტული და მკვეთრი ზრდა;
- ენერგომატარებლებზე მოთხოვნილების ზრდა;
- ენერგიის გენერირებისა და მოხმარების უმრავლეს შემთხვევებში გარემოზე მავნე ზემოქმედება.

ასევე დიდი ხანია, რაც ცივილიზაციებული მსოფლიო ენერგიის დამატებითი წყაროების ძიებასთან ერთად მაქსიმალურად ამცირებს დანაკარგებსა და მოხმარებას. მნიშვნელოვნად შემცირდა ხელსაწყოებსა და ტექნოლოგიებში ენერგოტევადობა. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ წარმატებულ ქვეყნად ითვლება გერმანია და მათ მიაღწიეს, რომ შენობებისათვის მოხმარებული ენერგიის დინამიკამ მიიღო შემდეგი სურათი (კვტ/კვ.მ.):




საქართველოში იგივე მაჩვენებელი დღეისათვის შეადგენს 290–300კვტ/კვ.მ. ანუ გერმანიის 1960–65 წლების დონეზეა.


საქართველოში ენერგიის არადანიშნულებით გამოყენება და დანაკარგები შეფასებულია შემდეგნაირად:

- გენერირებისა და გადაცემის ეტაპებზე ელექტროენერგიის დანაკარგი შეადგენს 20–22%–ს;
- გადაცემის ქსელებში ბუნებრივი აირის დანაკარგი აღმატება 10–12%–ს;

სფეროების მიხედვით მოხმარების სტრუქტურა:



საქართველოში საშუალოდ ოჯახის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება



- ბინების გათბობისათვის გამოყენებული ენერგიის 50–60%, კედლების, ფანჯრების, ჭირისა და იატაკის მოუწესრიგებლობის გამო გაედინება ატმოსფეროში;
- განათების ნათურების უმრავლესობა კვლავ ვარგარებისაა და სრულიად უმტკივნეულოდ შეიძლება განათებაზე მოხმარებული ენერგიის 80%–ის დაზოგვა.

საზოგადოებას უნდა ახსოვდეს, რომ ალტერნატიული (განახლებადი) ენერგიებისა და ენერგოეფექტურობის ხიბლს განაპირობებს როგორც მისი მაღალი ეკონომიკური რენტაბელურობის სრული ან ნაწილობრივი მიღწევის შესაძლებლობა, ასევე ეკოლოგიური უსაფრთხოება.

არასამთავრობო ორგანიზაციაბისა და ექსპერტების პოზიციათა
დაცლარაცია

საქართველოში ენარჩის განახლებადი წყაროების ეფექტურად
გამოყენებისა და ენარჩოფეტურობის არსებული დონის
მავათობად გაუმჯობესების უცილებლობის თაობაზე

ენერგეტიკა ის სფეროა, რომელიც ზეგავლენას ახდენს როგორც
მთლიანად ქვეყნების, ასევე თითოეული ადამიანის ცხოვრების ყველა
ასპექტზე. მისი სვედრითი წილი მნიშვნელოვანია ყველა დონეზე –
მთლიანი შიდა პროდუქტიდან დაწყებული და ყოფითი პირობებით
დამთავრებული.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ დეკლარაციაზე ხელ-
მომწერი საქართველოს არასამთავრობო (საზოგადოებრივი) ორგანიზა-
ციები, ექსპერტები და სამეცნიერო წრების წარმომადგენლები გრძნო-
ბენ რა პასუხისმგებლობას და ეყრდნობიან რა საკუთარ გამოცდილე-
ბასა და დაზუსტებულ ინფორმაციას:

- გამოთქვამენ შეშფოთებას ენერგიის განახლებადი (არატრადიცი-
ული) წყაროების ეფექტურად და ჯეროვნად ათვისების უაღრესად
დაბალი დონის გამო საქართველოში;
- გამოთქვამენ უკმაყოფილებას როგორც გენერირების, ასევე გა-
დაცემისა და მოხმარების ეტაპებზე ენერგიის განიავების დამკვ-
იდრებული ტენდენციის, ენერგოფექტურობის მიღწევის თაობაზე
ფასადური ხასიათის იდეების, განცხადებების დეკლარირებისა და
პრაქტიკულ საქმიანობაში არსებული უმოქმედობის გამო;
- ამ ფონზე, კატეგორიულად არ ეთანხმებიან ენერგეტიკული დანიშ-
ნულებით საქართველოს მდინარეების პიდროპოტენციალის ათ-
ვისების მიზნით გიგანტური პიდროპოტენციალის მშენ-
ებლობის გაუაზრებელ პოლიტიკას და მიაჩნიათ, რომ ყოველივე
ეს ხორციელდება ეკოლოგიური, სოციალური, დემოგრაფიული და
კულტურული რისკების კატასტროფულად ზრდის ხარჯზე;
- თანხმდებიან რა იმაზე, რომ ენერგოუზრუნველყოფა ქვეყნის უსა-
ფრთხოების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია, მიაჩნიათ, რომ
პიდროპოტენციალის გონივრულად ათვისების პარალელურად,
მნიშვნელოვანად უნდა გაძლიერდეს განახლებადი არატრადიციული
წყაროებიდან ენერგიის გენერირებისა და ენერგოფექტურობის
სფეროში არსებული მნიშვნელოვანი რეზერვების ამოქმდების ღონ-
ისძიებები;
- კატეგორიულად არ ეთანხმებიან არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ
ენერგოფექტური ღონისძიებების გატარებისა და ტექნოლოგიების
დანერგვის მიზნით საკანონმდებლო ნორმების შემოღება ზედმეტად
დაამძიმებს მოქალაქეების სოციალურ და ქვეყნის ეკონომიკურ

მდგომარეობას;

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წარმოადგენს ამ საკითხების მარეგულირებელი არაერთი საერთაშორისო შეთანხმების ხელმომწერ მხარეს, მიაჩნიათ, რომ ამ მიმართებით საქართველოს ხელისუფლების ქმედებები მინიმალურადაც ვერ პასუხობს მათ მიერვე აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს;
- შემფოთებული არიან იმ ფაქტით, რომ ყოველდღიურად და უკვე საკანონმდებლო დონეზეც, ირლევა ენერგეტიკული ქარტიის ფუნდამენტური პრინციპი – ენერგოუზრუნველყოფა განხორციელდეს ბუნებრივ გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების გზით – და ქვეყნის კოსისტემებისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი პროექტები ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების ჯეროვანი შეფასების გარეშე;
- უკამოფილებას გამოიქვამენ სახელმწიფო (საბიუჯეტო) სექტორის მიერ მოხმარებული ენერგორესურსების აღრიცხვის, სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალეობის საქმეში არსებული ბიუროკრატიული ბარიერების გამო;
- მოითხოვენ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია გათავისუფლდეს პოლიტიკური, მონოპოლიური და ყოველგვარი სხვა ზეწოლისაგან;
- აცნობიერებენ რა ქვეყნის ენერგობალანსში ენერგიის განახლებადი (არატრადიციული) წყაროების გამოყენებისა და ენერგოეფექტურობის სფეროში არსებული რეზერვების პოტენციურ წილს, აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიის გიგანტური პიდროველექტროსადგურებით დაფარვის შემთხვევაში მოსალოდნელ საფრთხეს;

მიმართავენ მსოფლიო თანამეგობრობას:

- ა) ზეგავლენა მოახდინონ საქართველოს მთავრობაზე ენერგიის განახლებადი (არატრადიციული) წყაროების ეფექტურად ათვისების უზრუნველყოფისა და ენერგოეფექტურობის სათანადო დონის მიღწევის, აგრეთვე მიღწეული შედეგების მუდმივად გაუმჯობესების მიზნით;
 - ბ) საქართველოს აღმოუჩინონ ფინანსური, მატერიალური, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური მხარდაჭერა არსებული მდგომარეობის უმოკლეს პერიოდში რადიკალურად შეცვლის მიზნით.
დარწმუნებული არიან რა, რომ საქართველოს სახელმწიფომ გადაუდებლად უნდა განახორციელოს ენერგიის განახლებადი (არატრადიციული) წყაროების ათვისების გრძელებით პერიოდშე გათვლილი ეფექტური ღონისძიებები და რადიკალურად უნდა შეცვალოს ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით არსებული გაუმართლებელი პოლიტიკა, მიმართავენ საქართველოს მთავრობას:
- დაუყოვნებლივ გადაიხედოს „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაო-

- ბაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილება და საერთაშორისო გალდებულებებისა და ამ დეკლარაციის, აგრეთვე ქვეყნის მთელი საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავებულ და მიღებულ იქნას ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკა, რომელსაც ექნება ლეგიტიმაციის უფრო მაღალი რანგი, ვიდრე პარლამენტის დადგენილებაა და რომელშიც განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ენერგოფექტურობის სფეროს;
- შემუშავებული ენერგეტიკული პოლიტიკიდან გამომდინარე და გერმანიის გამოცდილების გათალისწინებით, გადაუდებლად იქნას მიღებული ისეთი ხელშემწყობი საკანონმდებლო აქტები, როგორიცაა:
 - ენერგიის განახლებადი (არატრადიციული) წყაროების ეფექტურად გამოყენების შესახებ;
 - ენერგოფექტურობის შესახებ;
 - საქართველოს სამშენებლო კოდექსი;
 - ენერგოფექტური ტექნოლოგიების, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ტექნიკური სამუშალებების წარმოებისა და იმპორტის რეგულირების თაობაზე;
 - ტექნიკური რეგულირების შესახებ, სადაც გათვალისწინებული იქნება ენერგომოხმარებისა და ენერგოდანაკარგების შემცირების, აგრეთვე დამატებითი ენერგიის გენერირების სტიმულირების მექანიზმები.
 - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ქმედითი გახადოს მის მიერვე 2008 წლის 18 სექტემბერს მიღებული №23 დადგენილების მუხლი 3-ის ა.ბ) პუნქტი – ენერგეტიკული ობიექტების ყოველწლიური ვალდებულების თაობზე „ტექნიკური ანგარიშის“ რეგულარულად წარდგენასთან დაკავშირებით – და საჯარო გახადოს ამ ანგარიშების ანალიზის შედეგები, ასეთი ვალდებულება გავრცელდეს საბიუჯეტო დაწესებულებსა და ენერგიის მსხვილ მომხმარებლებზე;
 - რეალური ნაბიჯები გადადგას ე.წ. „მერების შთანხმებით“ აღებული პრიორიტეტული ვალდებულებების შესასრულებლად და არ შემოიფარგლოს უმნიშვნელო გადაწყვეტილებით;
 - უზრუნველყოს ენერგეტიკის სფეროში შემაგალი სხვადასხვა მხარის კანონიერი ინტერესების დასაბუთებული და სამართლიანი გაწონასტორება;
 - ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვას დარგის არაპროფესიონალური და არასპეციალისტი კადრებით დაკომპლექტების მავნე პრაქტიკაზე;
 - სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, პრინციპულად დასვას საკითხი ენერგეტიკის შიდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თაობაზე და მიაღწიოს პოზიტიურ შედეგებს;
 - დაუყოვნებლივ დასვას საკითხი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ შესაძლო გადავადების თაობაზე არსებული კანონის

- გაუქმების შესახებ;
- გადაუდებლად იზრუნოს ქვეყანაში მოწყობილობებისა და ტექნიკუროგიების ენერგოფექტურობის თვალსაზრისით ტესტირების, გამოცდის, მარკირებისა და ამავე მიზნით მონიტორინგის განხორციელების მატერიალური ბაზის შესაქმნელად;
- განსაკუთრებული ძალის სტანდარტის მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლებას, მის ინფორმირებულობას, ფართო პროპაგანდა გაუწიოს ამ მიმართებით მსოფლიოში აპრობირებულ არაერთ კამპანიას.

დეკლარაციაზე ხელმომწერ პირებს მიაჩნიათ, რომ ენერგეტიკის სფეროს რეგულირებაში, სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღებაზე მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კი გადამწყვეტი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს თთოვეული ჩვენთაგანის გააზრებულმა, პრინციპულმა პოზიციამ და ქმედებამ, რის გამოც მოვუწოდებთ საქართველოს საზოგადოებას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს:

- ენერგიის განახლებადი (არატრადიციული) წყაროების გამოყენებისა და ენერგიის ეფექტურად ხარჯვის თვალსაზრისით სამთავრობო სტრუქტურების უმოქმედობას დაფუძირისპიროვთ მაღალი სამოქალაქო აქტივობა და პრინციპულობა;
- მოვახდინოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების რესურსების მობილიზება და ძალების კონცენტრირება ზემოხსენებულ საკითხებზე;
- შევიმუშაოთ კონკრეტულ ღონისძებათა ერთობლივი სამოქმედო გეგმა და ვიზრუნოთ მისი ეტაპობრივი განხორციელებისათვის;
- დავგეგმოთ ერთობლივი აქციები და სხვა ღონისძებები, ვიზრუნოთ კონკრეტული შედეგების მისაღწევად.

ბროშურაში გამოყენებული ინფორმაცია მოგვაწოდეს:

- ნანი მეფარიშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- მანანა ლოქაფიშვილი – ინტელექტუალური ქვეყნის სამსახურში;
- გურამ სიმონიშვილი – ინტელექტუალური ქვეყნის სამსახურში;
- თამაზ ვაშაკიძე – საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი;
- ანზორ დუნდუა – საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი;
- თამაზ მარსაგიშვილი – ESIDG;
- დავით გაბუნია – ტექნიფორმი;
- ნელი ვერულავა – ენერგოფექტურობის ცენტრი;
- ივანე ჩოლოვაშვილი – დამოუკიდებელი ექსპერტი;
- სულხანი იაშვილი – ემეტცენტრი;
- გიორგი მელიქაძე – საქართველოს გეოთერმული ასოციაცია;
- ბაადურ ჩხაიძე – ენერგო-ინჟინერთა ასოციაცია;
- არჩილ ზედგინიძე – ქარენერგო;
- ვახტანგ ზარქუა – ენერგოფექტურობის ფონდი.

პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა
ფრიდრიხ ებერტის ფონდისა და ევროპავშირის
მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში
„ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის“ (WECP)
თანამშრომლობით

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს
მწვანეთა მოძრაობა, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ
უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად



გამოცემაზე მუშაობდნენ:

აგთანდილ გელაძე, ლელა ყაჭეიშვილი, რუსუდან სიმონიძე,
გიორგი მაღრაძე
დიზაინი: ირაკლი გულედანი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეცნიერები საქართველო

საქართველო, თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა №10ა
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: info@greens.ge
Web-გვერდი: www.greens.ge